ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

კვლევა:
დავების ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში ბიზნესის გამოკითხვა

ანალიტიკური ანგარიში
07/2020

ISSA
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

კვლევა:
დავების ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში ბიზნესის გამოკითხვა

ანალიტიკური ანგარიში
07/2020

წინამდებარე კვლევა მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ISSA
სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

სარჩევი

6 შესავალი

6 კვლევის მეთოდოლოგია

9 ძირითადი მიგნებები

11 მედიაცია

11 ინფორმირებულობა მედიაციის შესახებ

11 მედიაციის ცნობადობა

12 ინფორმაციის წყაროები

14 რა არის მედიაცია?

16 მედიაციის მიმართ დამოკიდებულებები

16 ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

17 მედიაციისადმი ნდობა

18 მედიაციის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

19 მედიაციის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

21 პრიორიტეტების განაწილება მედიაციას და სასამართლოს შორის

23 მედიაციისადმი მიმართვის გამოცდილება

23 მიმართვის გამოცდილება

23 გაწეული სერვისით კმაყოფილება

24 არბიტრაჟი

24 **ინფორმირებულობა არბიტრაჟის შესახებ**

24 არბიტრაჟის ცნობადობა

25 ინფორმაციის წყაროები

26 რა არის არბიტრაჟი?

29 **არბიტრაჟის მიმართ დამოკიდებულებები**

29 ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

30 არბიტრაჟისადმი ნდობა

31 არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

33 არბიტრაჟის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

35 პრიორიტეტების განაწილება არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის

38 **არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილება**

38 მიმართვის გამოცდილება

38 გაწეული სერვისით კმაყოფილება

39 კომპანიების პროფილი

შესავალი

პროექტი „მედიაცია და არბიტრაჟი კომერციული დავების ეფექტიანი გადაწყვეტისთვის“ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივაა. პროექტის მიზანია მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენების ხელშეწყობა კომერციულ დავებში, შესაბამისი ინსტიტუციებისა და პროფესიონალების გაძლიერებისა და პროფესიული განვითარების გზით.

მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი, რომლის საშუალებით ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. **მედიატორი** დამოუკიდებელი და ნეიტრალური მესამე პირია, რომელიც ეხმარება მხარეებს ეფექტიან კომუნიკაციაში და გამოსავლის მოძებნაში, თუმცა ის არ იღებს გადაწყვეტილებებს. მედიაციის პროცესი სრულად კონფიდენციალურია და მაქსიმალურად ერგება მხარეების ინტერესებს. **არბიტრაჟი** სახელშეკრულებო ფორმის დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი საშუალებაა. ამ შემთხვევაში, მხარეების ან საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ დანიშნული არბიტრი ან არბიტრები იღებენ გადაწყვეტილებას განსახილველ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო წარმოება სასამართლოსთან შედარებით მეტი მოქნილობითა და სისწრაფით გამოირჩევა. ის კომერციული დავების გადაწყვეტისთვის საუკეთესო ალტერნატივად აღიარებულია მსოფლიოში.

ბიზნეს დავების სასამართლოს გზით გადაწყვეტა, ხშირად დიდ დროსა და რესურსებთანაა დაკავშირებული, რაც დისკომფორტს უქმნის მხარეებს. მედიაცია და არბიტრაჟი მოიაზრება, კომერციული დავების გადაწყვეტისთვის მიზანშეწონილ ალტერნატიულ მექანიზმებად. მათი გამოყენებით შესაძლებელია დავის უფრო სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტა რაც მართლმსაჯულებას მეტად ხელმისაწვდომს ხდის.

კვლევის მეთოდოლოგია

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის - „მედიაცია და არბიტრაჟი - დავების ეფექტიანი გადაწყვეტისათვის“ - ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა, რომლის **მიზანი იყო** ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შესწავლა კომერციული დავების მედიაციისა და არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის შესახებ.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ☑ ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის დონის, ინფორმაციის მიღების გზების შესწავლა;
- ☑ არბიტრაჟისა და მედიაციის პროცესის შეფასება;
- ☑ საარბიტრაჟო და მედიაციის ინსტიტუტის ან ცენტრის საქმიანობის შეფასება;
- ☑ არბიტრაჟით და მედიაციით სარგებლობის უპირატესობების და ნაკლოვანებების გამოვლენა სასამართ-ლოსთან შედარებით.

☎ მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, კვლევის მეთოდად განისაზღვრა რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სატელეფონო გამოკითხვა.

კვლევის ინსტრუმენტი: დახურული და ნახევრად დახურული კითხვებისგან შემდგარი კითხვარი.

სამიზნე ჯგუფი: ბიზნეს სექტორში არსებული კომპანიების/საწარმოების წარმომადგენლები.

სამიზნე აუდიტორიის სტრუქტურირება მოხდა გარკვეულ ჯგუფებად. ამ უკანასკნელთა განსაზღვრა მოხდა საქმიანობის სფეროების მიხედვით. კერძოდ, გამოიყო ბიზნეს სექტორის ოთხი ძირითადი ჯგუფი/სტრატა:

1. პირველადი სექტორი, რომელიც მოიცავს ნედლეულის მოპოვებასა და წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს; მაგალითად, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, სამთო მრეწველობა და ა.შ.
2. მეორეული სექტორი მოიცავს ისეთ ინდუსტრიებს, რომლებიც აწარმოებენ მზა პროდუქტებს და ჩართულნი არიან მშენებლობაში.
3. მომსახურების სექტორი აერთიანებს ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა: საცალო ვაჭრობა, ბანკები, სასტუმრო, უძრავი ქონება, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.
4. ბუნებრივი მონოპოლიები - მოიცავს ისეთ კომპანიებს, რომლებიც შეიძლება გარკვეული პროდუქტის ან მომსახურების ერთადერთი მომწოდებლები იყვნენ.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა, ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით დაჯგუფებული ბიზნეს ორგანიზაციები შეარჩია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის ბაზიდან.[1] აღნიშნული ბაზიდან შეირჩა ყველა ის აქტიური (მოქმედი) ორგანიზაცია, რომელსაც დაფიქსირებული ჰქონდა საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელექტრონული მისამართი.

კვლევის ფარგლებში ჯამში გამოვიკითხეთ 1255 რესპონდენტი. მათი შერჩევა განხორციელდა ორსაფეხურიანი კლასტერული მეთოდით, წინასწარი სტრატიფიკაციის გზით. გამოყოფილი ოთხი სექტორი წარმოადგენს სტრატებს. თითოეულ სტრატაში გამოიყო საქმიანობათა სფეროები, რომლებიც წარმოადგენდა კლასტერებს. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა პირველადი შერჩევის ერთეულებს. საბოლოო შერჩევის ერთეულად კი უშუალოდ კვლევის ფარგლებში გამოსაკითხი რესპონდენტი განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თითოეულ ეკონომიკურ სექტორში გაერთიანებული ბიზნეს საქმიანობები და, ასევე, თუ რამდენი რესპონდენტი გამოიკითხა თითო ჯგუფში. იხ. ცხრილი #1.

[1] http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search

ცხრილი #1

	ბიზნეს სფეროები - დაყოფილი საქმიანობის მიხედვით (ოთხი ჯგუფი)	გამოკითხულთა რაოდენობა	5%-იანი ცდომილება (95%-იანი სანდოობით)
ჯგუფი 1	პირველადი სექტორი - სოფლის მეურნეობა და წიაღისეული	**330**	**5%**
1	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზაობა		
2	სამთო მრეწველობა და კარიერის დამუშავება		
ჯგუფი 2	მეორეული სექტორი - წარმოება და მშენებლობა	**377**	**5%**
3	წარმოება		
4	მშენებლობა		
ჯგუფი 3	მომსახურების სექტორი	**383**	**5%**
5	საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავტოსატრან-სპორტო საშუალებების და მოტოციკლეტების შეკეთება		
6	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა		
7	განათლება		
8	ინფორმაცია და კომუნიკაცია		
9	ტრანსპორტირება და დასაწყობება		
10	განსახლებისა და კვების ობიექტების მიწოდების საქმიანობა		
11	ხელოვნება, გართობა და დასვენება		
12	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობა		
13	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება		
14	ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა		
15	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა		
ჯგუფი 4	ბუნებრივი მონოპოლიები	**165**	**5%**
16	ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ჰაერის კონდიცირების მიწოდება		
17	წყალმომარაგება, კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და დასუფთავების ღონისძიებები		
	ჯამი	**1255**	**2.8%**

კვლევის ფარგლებში თითოეულმა ინტერვიუერმა დაახლოებით 40 ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოკითხა.

კომპანიებში გამოიკითხნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, კერძოდ, ორგანიზაციის დამფუძნებელი, დირექტორი, ადვოკატი, მენეჯერი ან ფინანსური მენეჯერი. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, რესპონდენტი ყოფილიყო სხვა პოზიციის მქონე პირიც, რომელსაც კვლევის კითხვებზე პასუხის გაცემის უფლებამოსილება გააჩნდა.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ერთი თვის განმავლობაში.

ძირითადი მიგნებები

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებიდან ბიზნეს სექტორებისთვის უფრო მეტად ნაცნობი არბიტრაჟი აღმოჩნდა, ვიდრე მედიაცია. არბიტრაჟთან დაკავშირებით, ყოველი მეორე რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ არ სმენიათ ამ მეთოდის შესახებ, მაშინ როდესაც ასეთი რესპონდენტების წილი მედიაციის შემთხვევაში 81.6%-ია. მედიაციის შესახებ ინფორმაციის ფლობით გამოირჩევა მეორეული და პირველადი სექტორი, ხოლო არბიტრაჟის ირგვლივ ცნობადობა ყველაზე მაღალია ბუნებრივი მონოპოლიებისა და პირველადი სექტორის კომპანიებში.

კვლევაში მონაწილე პირებისთვის მედიაციისა (40%) და არბიტრაჟის (42.8%) შესახებ ინფორმაციის მოპოვების მთავარი წყარო სატელევიზიო მედია აღმოჩნდა. ტელევიზიის შემდეგ კი მეორე მთავარ წყაროდ სოციალური მედია სახელდება.

რესპონდენტებმა, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია ან გამოცდილება მედიაციასთან და არბიტრაჟთან მიმართებით, განმარტეს თუ რას გულისხმობდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეს მეთოდები. მედიაციის შემთხვევაში, გამოკითხულთა 46.4%-ს ადეკვატური წარმოდგენა აქვს ამ პროცესზე; კერძოდ, 33.5% აღნიშნავს, რომ მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგად შეთანხმების მიღწევა მხარეების ნებაზეა დამოკიდებული (33.5%); არბიტრაჟის შემთხვევაში, მართებული წარმოდგენის მქონე რესპონდენტთა წილი 51%-ია. მათი უფრო დიდი ნაწილი სწორად აღნიშნავს, რომ არბიტრაჟი არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრ(ებ)ი. როგორც აღმოჩნდა, მედიაციის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი შედარებით მეტია ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაში; კერძოდ, მედიაციის შესახებ სწორ განმარტებას აყალიბებს ამ სექტორის წარმომადგენელთა 54.2%, ხოლო არბიტრაჟზე მართებული წარმოდგენის მქონე რესპონდენტთა წილი გამოკითხულთა ნახევარზე მეტია მეორეულ სექტორში (57.7%).

მედიაციისა და არბიტრაჟის მიმართ რესპონდენტების ნდობის შეფასების შესახებ მონაცემები ცხადყოფს, რომ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები უფრო ენდობიან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მექანიზმებს, ვიდრე არა. კერძოდ, გამოკითხულთა 54%-ზე მეტი გარკვეულწილად ენდობა მედიაციას, ხოლო არბიტრაჟს - ნახევარზე მეტი (თითოეულ სექტორში).

მედიაციის მთავარ უპირატესობად, სასამართლოსთან შედარებით, სახელდება დავის მოკლე დროში მოგვარების შესაძლებლობა და ბაჟის ნაკლებობა. მონაცემების სექტორების ჭრილში განხილვამ აჩვენა, რომ ბუნებრივი მონოპოლიებისა (22.4%) და მეორეული (23.2%) სექტორებისთვის უპირატესი მნიშვნელობა მედიაციის პროცესის მოკლე დროში დასრულებას ენიჭება, ხოლო მომსახურებისა (28.5%) და პირველადი (22.3%) სექტორებისთვის კი - ბაჟის ნაკლებობას. საარბიტრაჟო პროცესის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით, რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი (ასეთთა წილი თითოეულ სექტორში მერყეობს 22%-34%-ს შორის) პროცესის მოკლე დროში დასრულებას მიაწერს.

რაც შეეხება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ნაკლოვანებებს სასამართლოსთან შედარებით, მედიაციის შემთხვევაში დასახელდა საქმის დაბრუნება სასამართლოში სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში (27.4%); ხოლო არბიტრაჟის შემთხვევაში, ასეთად სახელდება მიღწეული შედეგის გასაჩივრების შეუძლებლობა (28.2%).

კომერციული დავის მოსაგვარებლად სასამართლოსთან შედარებით მედიაციისა (46.4%) და არბიტრაჟის (43%) გამოყენებას უპირატესობას ანიჭებს გამოკითხულთა დიდი ნაწილი. ამგვარი არჩევანის მქონე რესპონდენტთა გადანაწილება ბიზნეს სექტორების მიხედვით აჩვენებს, რომ თითოეულ სექტორში დავის გადაწყვეტის ამ მეთოდებს უფრო დადებითად აფასებენ, სასამართლოსთან შედარებით.

კვლევამ ცხადყო, რომ, სამომავლოდ, ბიზნეს დავის გადაწყვეტისთვის მედიაციისა და არბიტრაჟის არჩევისთვის, რესპონდენტებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია ამ ინსტიტუტების შესახებ. კერძოდ, მედიაციის შემთხვევაში ამ მოსაზრებას აფიქსირებს ყოველი მეორე რესპონდენტი, ხოლო არბიტრაჟის შემთხვევაში 40.5%.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, ბიზნეს დავის გადასაწყვეტად საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის (97.7%) ან მედიატორისთვის (98.2%) არ მიუმართავთ. ხოლო, მათი უმეტესობა, რომლებმაც გამოიყენეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეს მექანიზმები, კმაყოფილი დარჩა როგორც არბიტრაჟის (57.1%), ასევე მედიაციის (64%) პროცესით.

კვლევისთვის შერჩეული კომპანიების/საწარმოების[2] დიდი ნაწილი (89.1%), რომლებიც პირველადი სექტორის წარმომადგენლებად განისაზღვრნენ, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის სფეროში ეწევა საქმიანობას. მეორეულ ბიზნეს სექტორში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი კი წარმოების სფეროში საქმიანობს. რაც შეეხება მომსახურების სექტორს, მათ შემთხვევაში ყოველი მეორე რესპონდენტი საბითუმო და საცალო ვაჭრობას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებას ეწევა. ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენელ რესპონდენტთა 67.3%-ის საწარმო კი ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს.

კვლევაში მონაწილე პირთა დიდი ნაწილი კომპანიის დამფუძნებელი ან დირექტორია (ან ორივე ერთად). ბიზნესის საკუთრების ფორმა უმეტეს შემთხვევაში ერთპიროვნულია (70.8%). ამ თვალსაზრისით, გამოირჩევა მომსახურების სექტორი (77.3% ამბობს, რომ მათი ბიზნესის საკუთრების ფორმა ერთპიროვნულია). ბიზნესის თანამფლობელებად ძირითადად ოჯახის წევრები და მეგობრები სახელდებიან.

სულ მცირე, ყოველი მეორე რესპონდენტი (53.4%) ამბობს, რომ მათი კომპანიის სამართლებრივი ფორმა არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** (შპს). მესამედი კი ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით არის დარეგისტრირებული. შპსების რაოდენობა, სხვა სექტორებთან შედარებით, მაღალია მეორეულ სექტორში (65.6%).

თითოეულ ბიზნეს სექტორში ჭარბობს ისეთ საწარმოთა წილი, რომლებსაც მაქსიმუმ 10-მდე შტატიანი თანამშრომელი ჰყავთ. რაც შეეხება კომპანიების წლიურ ბრუნვას, ამ თვალსაზრისით გამოირჩევა მეორეულ სექტორში არსებული კომპანიები. მათი 7.4% აღნიშნავს, რომ წლიური ბრუნვა ერთი მილიონი ლარი და/ან მეტია. კომპანიებში/საწარმოებში ხელშეკრულების შემდგენ ძირითად პირებად სახელდებიან დირექტორი (38.1%) და ფინანსური მენეჯერი (24.4%). კვლევაში მონაწილე ყოველმა მეორე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათი კომპანია იურიდიულ მომსახურებას საერთოდ არ იღებს. ხოლო მათ შემთხვევაში, რომლებიც ამ სერვისით სარგებლობენ, უმრავლესობა (85%) მომსახურების მიმწოდებლად თავად კომპანიის თანამშრომელ იურისტს ასახელებს. ბიზნეს სექტორების მიხედვით, იმ კომპანიების წილი, რომლებიც საერთოდ არ იღებენ იურიდიულ მომსახურებას, ყველაზე მაღალია მომსახურების სფეროში (60.8%). კვლევამ აჩვენა, რომ საწარმოების დიდ ნაწილში, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გადაჭრის გზებზე გადაწყვეტილების მიმღები ძირითადად დამფუძნებლები და იურისტები არიან.

[2] წინამდებარე კვლევის ანგარიშში ტერმინები „კომპანია“ და „საწარმო“ სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება, და მათი გამოყენება არ მოიაზრებს რაიმე კონკრეტული მნიშვნელობის მინიჭებას გარდა ამ სიტყვების ტრადიციული განმარტებისა.

მედიაცია

ინფორმირებულობა მედიაციის შესახებ

მედიაციის ცნობადობა

მედიაციის შესახებ რესპონდენტების (კომპანიების) ინფორმირებულობის დონესთან მიმართებით შესწავლილ იქნა, თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ კვლევის სამიზნე ჯგუფები საკუთრივ მედიაციაზე და ინფორმაციის რომელ წყაროებს იყენებდნენ.

კვლევაში მონაწილე პირთა დიდი უმრავლესობა (81.6%) აცხადებს, რომ მათ არ სმენიათ მედიაციის შესახებ, მხოლოდ 18.4%-ია მათი წილი, რომლებსაც გარკვეული ინფორმაცია აქვთ დავის გადაწყვეტის ამ მეთოდზე (მედიაცია).

დიაგრამა #1

გსმენიათ თუ არა რაიმე მედიაციის შესახებ? N=1255



ბიზნეს სექტორების ჭრილში მედიაციის შესახებ ინფორმაციის ფლობის საკითხის განხილვამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტად ინფორმირებულები არიან მეორეულ სექტორში შემავალი კომპანიების წარმომადგენლები (23.1%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - ისინი, რომლებიც ბუნებრივი მონოპოლიების სფეროს განეკუთვნებიან (13.9%). პირველადი სექტორის შემთხვევაში ინფორმირებული რესპონდენტების წილი 20%-ს უტოლდება. მომსახურების სფეროში მომუშავე კომპანიებიდან კი მხოლოდ 14.1% აღნიშნავს, რომ სმენიათ მედიაციის შესახებ.

დიაგრამა #2

გსმენიათ თუ არა რაიმე მედიაციის შესახებ? N=1255



ინფორმაციის წყაროები

კვლევაში მონაწილე პირებმა, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია მედიაციის შესახებ, ისაუბრეს **ინფორმაციის მოპოვების გზებზე.** რესპონდენტების მიერ დასახელებულ წყაროებს შორის ყველაზე გამოყენებადი აღმოჩნდა ტელევიზია (40%), ხოლო მას მოსდევს სოციალური ქსელები (10.8%). ასევე, აღნიშნავენ, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზების შესახებ შეიტყვეს ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან, პარტნიორებისგან, უნივერსიტეტიდან და ა.შ.; თუმცა, ასეთთა წილი კვლევაში არ აღემატება 9%-ს (თითოეული წყაროს შემთხვევაში). გარდა ხსენებულისა, რესპონდენტების გარკვეული ნაწილი ინფორმაციის მოპოვების სხვა ისეთ წყაროებზეც მიუთითებს, როგორებიცაა: საკუთარი პროფესია (იურისტი), კანონმდებლობა, პირადი გამოცდილება ა.შ.

დიაგრამა #3



მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ ცხადყო, რომ კვლევის სამიზნე ოთხი ბიზნეს სექტორიდან, ორის შემთხვევაში 43%-ზე მეტია იმ კომპანიების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ინფორმაციის მიღების გზად დომინანტი წყარო - ტელევიზია დაასახელეს. კერძოდ, ესენია: პირველადი სექტორი (45.3%) და მომსახურების სექტორი (43.5%). მეორეულ სექტორში შემავალი კომპანიების შემთხვევაში ასეთთა წილი 37.4%-ია, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაში კი, დაახლოებით მეოთხედი. ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში დასაქმებული რესპონდენტების გარდა, დანარჩენებისთვის მეორე მნიშვნელოვან წყაროდ სახელდება სოციალური ქსელები (Facebook, Twitter და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ ისეთი შემთხვევების წილი, როდესაც თავად კომპანიას უსარგებლია მედიაციის პროცესით, შედარებით მეტია ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში არსებული კომპანიებისთვის (11.1%), ვიდრე დანარჩენი სამი სექტორისთვის.

დიაგრამა #4


საიდან იცით მედიაციის შესახებ? N=370
ბიზნეს სექტორი
პირველადი სექტორი
45.3%
5.3%
12.6%
3.2%
8.4%
7.4%
1.1%
10.5%
4.2%
2.1%
მეორეული სექტორი
37.4%
4.6%
10.7%
4.6%
7.6%
8.4%
3.1%
10.7%
1.5%
6.1%
3.8%
მომსახურების სექტორი
43.5%
6.1%
10.4%
4.3%
8.7%
7.0%
5.2%
5.2%
0.9%
4.3%
2.6%
ბუნებრივი მონოპოლიები
25.9%
11.1%
7.4%
11.1%
7.4%
11.1%
11.1%
3.7%
3.7%
7.4%
ტელევიზიიდან
ბეჭდური მედიიდან
სოციალური ქსელებიდან (Facebook, Twitter და ა.შ.)
ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებისგან
პარტნიორებისგან
მათგან, ვისაც უსარგებლია მედიაციით
კომპანიას უსარგებლია
უნივერსიტეტიდან
ბიზნეს ასოციაციებისგან/პროფესიული გაერთიანებებისგან
სხვა
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

რა არის მედიაცია?

რესპონდენტებმა, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული წინარე ინფორმაცია ან გამოცდილება მედიაციასთან მიმართებით, განმარტეს, თუ რას გულისხმობდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეს მეთოდი. მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას (51.1%) ადეკვატური წარმოდგენა აქვს ამ პროცესის შესახებ, რამდენადაც მათ იციან, რომ მედიაცია **არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგად შეთანხმების მიღწევა მხარეების ნებაზეა დამოკიდებული - 33.5%.** გარდა ხსენებულისა, გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი სწორად აღნიშნავს, რომ მედიაცია არის: **ა) დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღწეული შეთანხმება შეიძლება აღასრულოს სასამართლომ (2.9%); ბ) ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც ყოველთვის მორიგებით არ მთავრდება (5%) და გ) მედიაცია გამოიყენება სამოქალაქო ხასიათის რთული დავების დროს (5%).** იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც მედიაციის შესახებ მცდარი წარმოდგენა აქვთ, 3%-18%-ს შორის ვარირებს. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე მაღალია მათი რაოდენობა, რომელთა შეფასებითაც მედიაციის შედეგად დავა ყოველთვის მორიგებით სრულდება (17.6%). გამოკითხულთა მცირე ნაწილი, საკუთარი ინიციატივით, სხვა მოსაზრებებსაც გამოთქვამს. მაგალითად, ზოგიერთების აზრით, მედიაციის გამოყენების შემთხვევაში დავის გადაწყვეტა მორიგებით, სასამართლოს გვერდის ავლით ხდება.

დიაგრამა #5



შენიშვნა: *მცდარი პასუხები მედიაციის შესახებ მონიშნულია წითლად.*

კვლევამ აჩვენა, რომ პირველადი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების 40.4%-ს, ჯამში, მართებული წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს მედიაცია. ამათგან უფრო დიდი ნაწილი (29.3%) აღნიშნავს, რომ **მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგად შეთანხმების მიღწევა მხარეების ნებაზეა დამოკიდებული.** ამ სექტორის წარმომადგენელთა 17.1% შეცდომით ფიქრობს, რომ ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც აუცილებლად მთავრდება მორიგებით, ხოლო 12.2%-ის (ასევე, მცდარი) აზრით, მედიაციის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი დავის გადასაწყვეტად. დანარჩენი სამი სექტორის შემთხვევაშიც მედიაციის განმარტებისას სწორედ ის ფაქტორი სახელდება მედიაციის მთავარ მახასიათებლად, რაც პირველადი სექტორის რესპონდენტების ყელაზე დიდმა ნაწილმა აღნიშნა. კერძოდ, მეორეულ სექტორის წარმომადგენელთა 37.1% აღნიშნავს, რომ მედიაციის შედეგად შეთანხმების მიღწევა მხარეების ნებაზეა დამოკიდებული. მომსახურების სექტორში ასეთთა წილი 29.4%-ია, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში კი შედარებით მეტი - 41.7%. ჯამში, მედიაციის შესახებ სწორ პასუხებს იძლევა მეორეული სექტორის წარმომადგენელთა 47.5%, მომსახურების სექტორის წარმომადგენელთა 48.2%, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიების სფეროს წარმომადგენელთა 54.2%.

ცხრილი #2

თქვენი ინფორმაციით, რა არის მედიაცია? (N290) (ბიზნეს სექტორი) ↓	**პირველადი სექტორი**	**მეორეული სექტორი**	**მომსახურე-ბის სექტორი**	**ბუნებრივი მონოპო-ლიები**
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგად შეთანხმების მიღწევა მხარეების ნებაზეა დამოკიდებული	29.3%	37.1%	29.4%	41.7%
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღწეული შეთანხმება შეიძლება აღასრულოს სასამართლომ	3.7%	2.1%	1.2%	8.3%
დავის გადაწყვეტის მეთოდი რომლის შედეგად მიღწეული შეთანხმების შესრულება ნებაყოფლობითია	9.8%	5.2%	9.4%	8.3%
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც აუცილებლად მთავრდება მორიგებით	17.1%	17.5%	18.8%	16.7%
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც ყოველთვის მორიგებით არ მთავრდება	3.7%	5.2%	8.2%	0.0%
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო ხასიათის რთული დავების დროს	3.7%	3.1%	9.4%	4.2%
დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი სახის დავის დროს	12.2%	10.3%	5.9%	4.2%
სხვა	6.1%	7.2%	8.2%	8.3%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	14.6%	12.4%	9.4%	8.3%

შენიშვნა: *მცდარი პასუხები მედიაციის შესახებ მონიშნულია წითლად.*

მედიაციის მიმართ დამოკიდებულებები

ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

იმისათვის, რომ რესპონდენტებისთვის შეგვეხსენებინა, დაგვეზუსტებინა ან განგვემარტა, თუ რას ნიშნავს მედიაცია (იგულისხმება ის რესპონდენტებიც, ვისაც აქამდე არ სმენიათ მედიაციის შესახებ არაფერი), რესპონდენტებს შევთავაზეთ მედიაციის შესახებ მოკლე განმარტება, რომელიც მის ძირითად მახასიათებლებს აერთიანებდა. მას შემდეგ, რაც ყველა რესპონდენტს მიეწოდა ინფორმაცია იმაზე, თუ რას გულისხმობს მედიაცია რეალურად, კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობამ (66.6%) აღნიშნა, რომ მათ არ სმენიათ მედიაციის შესახებ **(არ გაახსენდათ)**, ხოლო გამოკითხულთა მესამედისთვის (33.4%) ნაცნობი აღმოჩნდა დავის ამგვარი გადაწყვეტის საშუალება.

დიაგრამა #6

განმარტების მოსმენის შემდეგ ხომ არ გაგახსენდათ, რომ გსმენიათ მედიაციის შესახებ? N=1255



კვლევამ ცხადყო, რომ მედიაციის განმარტების მოსმენის შემდეგ, თითოეული ბიზნეს სექტორის შემთხვევაში, რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის მაინც უცნობია **(ვერ გაიხსენეს)** მედიაციის არსი. კერძოდ, ასეთთა შორის ყველაზე მეტია მომსახურების სექტორის წარმომადგენელთა წილი (73.4%). ამ საკითხის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულები (მედიაციის შესახებ განმარტების მიწოდების შემდეგ) მეორეული სექტორის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ (38.7%).

დიაგრამა #7

განმარტების მოსმენის შემდეგ ხომ არ გაგახსენდათ, რომ გსმენიათ / უფრო მეტი იცოდით მედიაციის შესახებ? N=1255



მედიაციისადმი ნდობა

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მოსმენილი განმარტება მედიაციის შესახებ მათ გარკვეულწილად აღუძრავს ნდობას (59.1%); მხოლოდ 12.1%-ს გააჩნია მედიაციის მიმართ სრული ნდობა, 7% კი ამბობს, რომ მოსმენილი ინფორმაცია მედიაციის შესახებ საერთოდ არ არის მათში ნდობის გამომწვევი.

დიაგრამა #8

აღგიძრავთ თუ არა ნდობას მოსმენილი მედიაციის მიმართ? N=1255



მედიაციის მიმართ რესპონდენტების ნდობის საკითხის განხილვა ბიზნეს სექტორების ჭრილში აჩვენებს, რომ თითოეული სექტორის შემთხვევაში 54%-ს აღემატება მათი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ გარკვეულწილად ენდობიან ამ პროცესს; 10%-14%-ს შორის ვარირებს მათი რაოდენობა, რომლებიც სრული ნდობით გამო-ირჩევიან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მეთოდის მიმართ. რაც შეეხება მათ წილს, რომლებიც საერთოდ არ ენდობიან მედიაციის პროცესს **(მოსმენილი განმარტების შემდეგ)**, 9%-ზე ნაკლებია.

დიაგრამა #9

აღგიძრავთ თუ არა ნდობას მოსმენილი მედიაციის მიმართ? N=1255



მედიაციის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

კვლევაში მონაწილე პირებმა საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს სასამართლოსთან შედარებით მედიაციის უპირატესობების შესახებ. გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი ამბობს, რომ მედიაციის შემთხვევაში ბაჟი ნაკლებია (24.3%), 23.1% კი დავის მოკლე დროში დასრულებას თვლის მედიაციის უპირატესობად. 11.7%-თვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარემო, სადაც დავის გადაწყვეტა მიმდინარეობს **(„პროცესი მიმდინარეობს უფრო მშვიდ ატმოსფეროში“)** და, ასევე, ზოგიერთი მათგანი იმასაც დასძენს, რომ პროცესი ემოციურად ნაკლებად სტრესულია სასამართლოსთან შედარებით (7.9%). სხვა უპირატესობების შემთხვევაში გამოკითხულთა წილი არ აღემატება 6.7%-ს. ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დავაში ჩართული პირებისთვის/კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ბიზნეს დავის გადაწყვეტისთვის დათმობილი დრო და გადასახადის ოდენობა. გარდა აღნიშნულისა, ცალკეულმა რესპონდენტებმა („სხვა“-ში) მედიაციის უპირატესობა შემდეგი ფაქტორებით ახსნეს: დავის გადაჭრის მეტი შესაძლებლობა, შეთანხმების/მორიგების მარტივად მიღწევა, მხარეების აქტიური ჩართულობა დავის გადაწყვეტის პოცესში, ნაკლები ბიუროკრატია, სასამართლოსთვის გვერდის ავლა, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობა და ა.შ. რამდენიმემ ისიც აღნიშნა, რომ მედიაციას სასამართლოსთან შედარებით უპირატესობები არ გააჩნია.

დიაგრამა #10

თქვენი აზრით, ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს, რა წარმოადგენს მედიაციის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით? N=1255



მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ცხადყოფს, თუ რას მიიჩნევენ ცალკეული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები მედიაციის უპირატესობად სასამართლოსთან შედარებით: თითოეული ბიზნეს სექტორის რესპონდენტთათვის უპირველესი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა დავის პროცესის მოკლე დროში მოგვარება და ბაჟის ნაკლებობა. ამ შეხედულების მქონე რესპონდენტთა წილი თითოეული სექტორის შემთხვევაში 20%-დან 29%-მდე მერყეობს. კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენელ რესპონდენტთა 22.4% ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დავის პროცესი არ ჭიანურდება და დაახლოებით მეხუთედი კი აღნიშნავს, რომ ბაჟი არის ნაკლები. მომსახურების სექტორში მათი წილი, რომლებიც პროცესის მოკლე ვადაში დასრულებაზე აკეთებენ აქცენტს, აღემატება გამოკითხულთა მეოთხედს, ხოლო 28.5% კი, ასევე, დაბალ გადასახადზე მიუთითებს. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებიც ამბობენ, რონ სასამართლოსთან შედარებით მედიაციის უპირატესობად შეიძლება ნაკლებად სტრესული ატმოსფერო ჩაითვალოს, თითოეული სექტორის შემთხვევაში არ აღემატება 13.1%-ს.

დიაგრამა #11

თქვენი აზრით, ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს, რა წარმოადგენს მედიაციის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით? N=1255



მედიაციის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

გარდა უპირატესობებისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ ძირითად ნაკლოვანებებზე, რომლებიც მედიაციას სასამართლოსთან შედარებით გააჩნია. კერძოდ, ასეთად გამოკითხულთა 27.4% ასახელებს შემდეგ საკითხს - **თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, მაინც მოუწევთ სასამართლოში წასვლა და დროს დაკარგავენ.** 20.2% კი ამბობს, რომ მიუხედავად მიღწეული მორიგებისა, დავის რომელიმე მხარემ შეიძლება არ ჩათვალოს საჭიროდ/სავალდებულოდ გადაწყვეტილების შესრულება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 41.5%-ს გაუჭირდა მედიაციის ნაკლოვანებებზე საუბარი, რაც სავარაუდოდ, იმით არის გამოწვეული რომ რესპონდენტთა დიდ ნაწილს არ გააჩნია ამ მეთოდით სარგებლობის გამოცდილება. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც გარდა ჩამოთვლილისა, სხვა ნეგატიურ ფაქტორებზეც ისაუბრეს, არ აღემატება 4%-ს. ისინი ასახელებენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: აღსრულების პრობლემა, კომპეტენციის ნაკლებობა, სამართლებრივი რეგულაციების დეფიციტი, დავის გადაწყვეტის პროცესის დროში გაჭიანურება, მედიაციის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, მედიატორის შესაძლო მიკერძოებულობა და სხვა.

დიაგრამა #12

თქვენი აზრით, ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს, რა წარმოადგენს მედიაციის ნაკლოვანებას სასამართლოსთან შედარებით? N=1255



მომსახურების სექტორის დიდი ნაწილი მედიაციის ნაკლოვანებად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ თუ ორივე მხარისთვის სასარგებლოდ/მისაღებად არ გადაწყდა დავა, შესაძლოა მათ სასამართლოში მოუწიოთ პროცესის გაგრძელება (30.7%). უარყოფით მხარედ ამ საკითხს განიხილავს დანარჩენი სამი სექტორის წარმომადგენელთა 25.9% **(თითოეული ბიზნეს სექტორის შემთხვევაში)**. ასევე, მომსახურების სექტორის წარმომადგენელთა მეხუთედზე მეტი მიუთითებს ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე და აცხადებს, რომ დავის გადაწყვეტის შემდეგ მხარეებმა შეიძლება არ ჩათვალონ სავალდებულოდ მორიგების პირობების შესრულება. ამ უკანასკნელ საკითხს მედიაციის ნაკლოვანებად მიიჩნევს პირველადი სექტორის რესპონდენტთა 16.4%, მეორეული სექტორის წარმომადგენელთა 20% და ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში დასაქმებულთა 20.1%.

დიაგრამა #13

თქვენი აზრით, ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს, რა წარმოადგენს მედიაციის ნაკლოვანებას სასამართლოსთან შედარებით? N=1255



პრიორიტეტების განაწილება მედიაციას და სასამართლოს შორის

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი პირადად მათი კომპანიისთვის, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, ბიზნეს დავის მოსაგვარებლად, სასამართლოს მედიაციას არჩევდა. ამათგან მხოლოდ 12% აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც აუცილებლად არჩევდნენ მედიაციას, 44.4% კი, უფრო არჩევდა, ვიდრე არა. კვლევაში 20%-ზე დაბალია მათი წილი, რომლებიც სასამართლოს მედიაციას არ არჩევდნენ.

დიაგრამა #14

თქვენი კომპანიისთვის ბიზნეს დავის მოსაგვარებლად არჩევდით თუ არა მედიაციას სასამართლოს? N=1255



ბიზნეს დავის მოსაგვარებლად სასამართლოსთან შედარებით მედიაციისთვის უპირატესობის მინიჭებით გამოირჩევა მომსახურების სექტორი (60.1% - „უფრო ვარჩევდი“ და „აუცილებლად ვარჩევდი“). თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ სექტორებს შორის მათი წილი, რომლებიც მედიაციას სასამართლოსთან შედარებით აუცილებლად აირჩევდნენ, მეტია ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენლებს შორის (17.1%), ხოლო შედარებით ნაკლები პირველადი სექტორის რესპონდენტების შემთხვევაში (9.1%).

დიაგრამა #15

თქვენი კომპანიისთვის ბიზნეს დავის მოსაგვარებლად, არჩევდით თუ არა მედიაციას სასამართლოს? N=1255



როგორც კვლევაში მონაწილე ყოველი მეორე რესპონდენტი აღნიშნავს, იმისთვის, რომ მომავალში ბიზნეს დავის გადასაწყვეტად არჩევანი მედიაციაზე შეაჩერონ, მათ მეტი ინფორმაცია სჭირდებათ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მეთოდის და, ზოგადად, მედიაციის ინსტიტუტის შესახებ; 16.1% კი სასამართლოსა და მედიაციას შორის არჩევანს საკუთარ იურისტს მიანდობს და თვლის, რომ ამისთვის სწორედ იურისტის ინიციატივაა საჭირო. 12.2% მედიატორების შესახებ ინფორმაციის საჭიროებაზე მიუთითებს.

დიაგრამა #16

რა დაგეხმარებოდათ/მოგცემდათ ბიძგს, რომ მომავალში ბიზნეს დავის გადასაწყვეტად გამოიყენოთ მედიაცია? N=1255



თითოეული ბიზნეს სექტორის შემთხვევაში, გარდა პირველადი სექტორისა, იმ რესპონდენტების წილი, რომლებისთვისაც მედიაციის გზით დავის გადასაწყვეტად ამ ინსტიტუტის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებაა საჭირო, 50%-ზე მეტია. პირველადი სექტორის რესპონდენტებს შორის კი ასეთთა რაოდენობა 42.7%-ს უტოლდება. რაც შეეხება მათ, რომლებიც იურისტის ინიციატივას თვლიან მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, ასეთთა წილი ყველაზე მაღალია ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში არსებული კომპანიების წარმომადგენლებს შორის (27.4%). სხვა შემთხვევებში კი 11%-19%-ს შორის მერყეობს.

დიაგრამა #17

რა დაგეხმარებოდათ, რომ მომავალში ბიზნეს დავის გადასაწყვეტად გამოიყენოთ მედიაცია? N=1255



მედიაციისადმი მიმართვის გამოცდილება

მიმართვის გამოცდილება

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მათ კომპანიებს მედიაციისათვის მიმართვის გამოცდილება არ გააჩნიათ. მსგავსი პრაქტიკის მქონე პირთა რაოდენობა ძალზე მცირეა (1.4%).

დიაგრამა #18

აქვს თუ არა თქვენს კომპანიას ბოლო 5 წლის განმავლობაში მედიაციისათვის მიმართვის გამოცდილება? N=1255

გაწეული სერვისით კმაყოფილება

შესაბამისი გამოცდილების მქონე რესპონდენტებმა შეაფასეს მედიაციით, როგორც პროცესით, კმაყოფილება. იმ გამოკითხულთაგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მედიაციის გამოყენების გამოცდილება აქვთ (სულ 17 რესპონდენტი), ნახევარზე მეტი (9 რესპონდენტი) კმაყოფილი დარჩა პროცესით (ამათგან 2 - ძალიან კმაყოფილი). უკმაყოფილო რესპონდენტების რაოდენობა კი 5-ს უტოლდება (3 - სრულიად უკმაყოფილო, 2 - უკმაყოფილო) .

ბიზნეს სექტორების ჭრილში მედიაციით კმაყოფილების განხილვამ აჩვენა, რომ პირველადი სექტორის რესპონდენტების 33.4% (2 რესპონდენტი) საკუთარ კმაყოფილებას შეფასების უარყოფით ველში ათავსებს, ხოლო ყოველი მეორე რესპონდენტი დადებითში (3 რესპონდენტი). მეორეული სექტორის წარმომადგენელთაგან 1 რესპონდენტი სრულიად უკმაყოფილოა მედიაციის პროცესით, ხოლო 83.3% (5 რესპონდენტი) კი კმაყოფილებას გამოხატავს. მომსახურების სექტორში რესპონდენტთა დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული მომსახურებით, მეოთხედი კი უკმაყოფილოა.

არბიტრაჟი

ინფორმირებულობა არბიტრაჟის შესახებ

არბიტრაჟის ცნობადობა

არბიტრაჟის შესახებ რესპონდენტების (კომპანიების წარმომადგენლების) ინფორმირებულობის დონის ფარგლებში შესწავლილ იქნა, ინფორმირებულნი იყვნენ თუ არა კვლევის სამიზნე ჯგუფები დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მეთოდის შესახებ, რა იცოდნენ არბიტრაჟის შესახებ და ინფორმაციის მოპოვების რომელ წყაროებს იყენებდნენ.

გამოკითხულთაგან უმრავლესობა (54.1%) აცხადებს, რომ მათ არ სმენიათ არბიტრაჟის შესახებ, რესპონდენტთა 45.9%-თვის კი, დავის მოგვარების ეს მეთოდი ნაცნობია.

დიაგრამა #19

გსმენიათ თუ არა რაიმე არბიტრაჟის შესახებ? N=1255



ბიზნეს სექტორების ჭრილში არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციის ფლობის საკითხის განხილვამ აჩვენა, რომ ინფორმაცია ყველაზე მეტად აქვთ ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში შემავალი ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლებს (49.7%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - მათ, რომლებიც მომსახურების სფეროში აწარმოებენ ბიზნესს (39.4%). პირველადი სექტორის შემთხვევაში ასეთთა წილი გამოკითხულთა თითქმის ნახევარს უტოლდება, მეორეული სექტორის შემთხვევაში კი რესპონდენტების 48% აღნიშნავს, რომ მათ სმენიათ არბიტრაჟის შესახებ.

დიაგრამა #20

გსმენიათ თუ არა რაიმე არბიტრაჟის შესახებ? N=1255



ინფორმაციის წყაროები

კვლევაში მონაწილე პირებმა, რომელთაც გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია არბიტრაჟის თაობაზე, ისაუბრეს **ინფორმაციის მოპოვების წყაროებზე.** რესპონდენტების მიერ დასახელებულ წყაროებს შორის დომინანტი აღმოჩნდა ტელევიზია (42.8%), ხოლო რიგით მეორე ადგილი დაიკავა სოციალურმა ქსელებმა (12.5%). ზოგიერთებმა არბიტრაჟის შესახებ შეიტყვეს ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან, პარტნიორებისგან, უნივერსიტეტიდან და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, სხვა წყაროების გამომყენებელთა წილი არ აღემატება 8%-ს (თითოეული წყაროს შემთხვევაში). გამოკითხულთა 3.2%-მა, „სხვა"-ში დამატებითი წყაროები დაასახელა: ზოგმა აღნიშნა, რომ ბუღალტრისგან შეიტყო, სხვებმა კი საკუთარი პროფესიიდან (იურისტი) გამომდინარე იცოდა დავის გადაწყვეტის ამ მეთოდის შესახებ. ზოგიერთებმა აღნიშნეს, რომ ნაცნობებისგან/მეგობრებისგან შეიტყვეს. ზოგიერთს თავად ჰქონდა არბიტრაჟით სარგებლობის გამოცდილება, ზოგს კი უშუალოდ ხელშეკრულებაში აქვს გათვალისწინებული, რომ დავის წარმოქმნის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა მიმართონ.

დიაგრამა #21



მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ ცხადყო, რომ კვლევის სამიზნე ოთხი ბიზნეს სექტორიდან, სამის შემთხვევაში 40%-ს აღემატება იმ კომპანიების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ინფორმაციის მიღების გზად ყველაზე დომინანტი წყარო - სატელევიზიო მედია დაასახელეს. კერძოდ, ესენია: პირველადი სექტორი (43.9%), მომსახურების სექტორი (47.7%) და მეორეული სექტორი (40.8%). ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში შემავალი კომპანიების შემთხვევაში ასეთთა წილი ნაკლებია და მესამედს მცირედით აღემატება (36.5%). პირველადი სექტორის გარდა, სხვა ბიზნეს სექტორების წარმომადგენლები მეორე მნიშვნელოვან წყაროდ ასახელებენ სოციალურ ქსელებს, ასეთთა წილი მერყეობს 9.9%-დან 16.3%-მდე. პირველად სექტორში დასაქმებული რესპონდენტებისთვის კი, მეორე მნიშვნელოვან წყაროდ ბეჭდური მედია (11%) სახელდება.

ცხრილი #3

საიდან იცით არბიტრაჟის შესახებ? (N926) (ბიზნეს სექტორები) ↓	პირველადი სექტორი	მეორეული სექტორი	მომსახურების სექტორი	ბუნებრივი მონოპოლიები
ტელევიზიიდან	43.9%	40.8%	47.7%	36.5%
რადიოდან	1.2%	1.1%	2.5%	2.9%
ბეჭდური მედიიდან	11.0%	4.3%	6.0%	6.7%
სოციალური ქსელებიდან (Facebook, Twitter და ა.შ.)	10.2%	14.9%	9.9%	16.3%
ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან	4.1%	3.5%	6.4%	6.7%
პარტნიორებისგან	4.9%	11.0%	6.4%	6.7%
მათგან, ვისაც პირადად ჰქონია საქმე არბიტრაჟში	6.5%	6.4%	7.8%	12.5%
კომპანიას უსარგებლია	1.2%	1.4%	3.2%	1.9%
უნივერსიტეტიდან	4.9%	6.4%	3.9%	4.8%
ბიზნეს ასოციაციებისგან	3.7%	2.5%	0.7%	1.0%
სხვა	2.8%	4.3%	2.8%	1.9%

რა არის არბიტრაჟი?

რესპონდენტებმა, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია ან გამოცდილება არბიტრაჟთან მიმართებით, განმარტეს, თუ რას გულისხმობდა დავის გადაწყვეტის ეს მეთოდი. მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ აჩვენა, რომ, ჯამში, გამოკითხულთა დაახლოებით 51%-ს ადეკვატური წარმოდგენა აქვს ამ პროცესის შესახებ და მათ იციან, თუ რა შინაარსს ატარებს საარბიტრაჟო პროცესი: კერძოდ, მეოთხედი (25.2%) ადასტურებს, რომ არბიტრაჟი **არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრ(ებ)ი.** გარდა ხსენებულისა, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (19.4%), ასევე, სწორად, აღნიშნავს, რომ არბიტრაჟი არის **დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ფიზიკურ პირებს, ბიზნესებს, ბიზნესსა და ფიზიკურ პირს შორის დავის დროს.** იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც არბიტრაჟის შესახებ მცდარი წარმოდგენა აქვთ 6%-15.5%-ს შორის ვარირებს.

დიაგრამა #22

თქვენი ინფორმაციით, რა არის არბიტრაჟი? N=682

შენიშვნა: *არბიტრაჟის შესახებ მცდარი პასუხები მონიშნულია წითლად.*

კვლევამ აჩვენა, რომ პირველადი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების დაახლოებით 40%-ს მართებული წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს არბიტრაჟი. ამათგან 20.9% ამბობს, *რომ არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრ(ებ)ი,* ხოლო 14.3% *არბიტრაჟს განიხილავს, როგორც ფიზიკურ პირებს, ბიზნესებს, ბიზნესსა და ფიზიკურ პირს შორის დავის გადაჭრის გზას;* დანარჩენი სამი სექტორის შემთხვევაშიც არბიტრაჟის განმარტებისას სწორედ ის პირველი ორი ფაქტორი სახელდება მის მთავარ მახასიათებლად, რომლებიც პირველადი სექტორის რესპონდენტებმა აღნიშნეს. მეორეული სექტორის წარმომადგენელთა 57.7%-ს, ჯამში, სწორი წარმოდგენები აქვთ არბიტრაჟის შესახებ მომსახურების სექტორში ასეთთა წილი 52.8%-ია, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში 54.1%.

დიაგრამა #23

თქვენი ინფორმაციით, რა არის არბიტრაჟი? N=682



- ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც საბოლოო გადაწყვეტილებას მხარეები თავად იღებენ
- ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას სასამართლო უზრუნველყოფს
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება ნებაყოფლობითია
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრ(ებ)ი
- ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ფიზიკურ პირებს, ბიზნესებს, ბიზნესსა და ფიზიკურ პირს შორის დავის დროს
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის შედეგით ორივე მხარე კმაყოფილია
- სხვა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხი

არბიტრაჟის მიმართ დამოკიდებულებები

ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

იმისათვის, რომ რესპონდენტებისთვის შეგვეხსენებინა, დაგვეზუსტებინა ან განგვემარტა, თუ რას ნიშნავს არბიტრაჟი (იგულისხმება ის რესპონდენტებიც, ვისაც აქამდე არ სმენიათ არბიტრაჟის შესახებ არაფერი), რესპონდენტებს შევთავაზეთ არბიტრაჟის შესახებ მოკლე განმარტება, რომელიც მის ძირითად მახასიათებლებს აერთიანებდა. მას შემდეგ, რაც ყველა რესპონდენტს მიეწოდა სწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობს არბიტრაჟი რეალურად, კვლევაში მონაწილე პირთა 56.1%-მა აღნიშნა, რომ მათ არ სმენიათ არბიტრაჟის შესახებ **(არ გაახსენდათ)**, ხოლო გამოკითხულთაგან 40%-ზე მეტისთვის მაინც ნაცნობი აღმოჩნდა დავის ამგვარი გადაწყვეტის საშუალება.

დიაგრამა #24

განმარტების მოსმენის შემდეგ ხომ არ გაგახსენდათ, რომ გსმენიათ / უფრო მეტი იცოდით არბიტრაჟის შესახებ? N=1255



კვლევამ ცხადყო, რომ არბიტრაჟის თაობაზე განმარტების მოსმენის შემდეგ, თითოეული ბიზნეს სექტორის შემთხვევაში, რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის მაინც უცნობია **(ვერ გაიხსენეს)** მისი არსი. კერძოდ, ასეთთა შორის ყველაზე მეტია მომსახურების სექტორის წარმომადგენლების წილი (61.1%). ამ საკითხის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულები მეორეული სექტორის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ (48.8%).

დიაგრამა #25

განმარტების მოსმენის შემდეგ ხომ არ გაგახსენდათ, რომ გსმენიათ / უფრო მეტი იცოდით არბიტრაჟის შესახებ? N=1255



არბიტრაჟისადმი ნდობა

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მოსმენილი ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ მათ გარკვეულწილად აღუძრავს ნდობას (57.2%). მხოლოდ 13% გამოხატავს არბიტრაჟის მიმართ სრულ ნდობას, 8.7% კი ამბობს, რომ მოსმენილი განმარტება არბიტრაჟის შესახებ საერთოდ არ არის მათში ნდობის გამომწვევი.

დიაგრამა #26

აღგიძრავთ თუ არა ნდობას მოსმენილი არბიტრაჟის მიმართ? N=1255



არბიტრაჟის მიმართ რესპონდენტების ნდობის საკითხის განხილვა ბიზნეს სექტორების ჭრილში აჩვენებს, რომ თითოეული სექტორის შემთხვევაში 54%-ს აღემატება მათი წილი, რომლებიც გარკვეულწილად ენდობიან საარბიტრაჟო პროცესს, 10%-19%-ს შორის ვარირებს მათი რაოდენობა, რომლებიც სრული ნდობით გამოირჩევიან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ მეთოდის მიმართ. 10%-ზე ნაკლებია მათ წილი, რომლებიც საერთოდ არ ენდობიან საარბიტრაჟო პროცესს **(მოსმენილი განმარტების შემდეგ).**

დიაგრამა #27

აღგიძრავთ თუ არა ნდობას მოსმენილი არბიტრაჟის მიმართ? N=1255



არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

კვლევაში მონაწილე პირებმა სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟის უპირატესობებზე გამოხატეს თავიანთი პოზიცია. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (28.2%) ამბობს, რომ არბიტრაჟის გამოყენების შემთხვევაში დავის პროცესი დროში არ ჭიანურდება და დავა მალევე სრულდება. 13.3%-თვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარემო, სადაც დავის გადაწყვეტა მიმდინარეობს **(„პროცესი მიმდინარეობს უფრო მშვიდ ატმოსფეროში“)** და, სხვა უპირატესობების შემთხვევაში გამოკითხულთა წილი არ აღემატება 7.9%-ს. ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დავაში ჩართული პირებისთვის/კომპანიებისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბიზნეს დავის გადაწყვეტისთვის დათმობილი დრო და მშვიდი გარემო. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედს გაუჭირდა არბიტრაჟის უპირატესობებზე საუბარი. გარდა აღნიშნულისა, რესპონდენტებმა (1.4%), ღია პასუხის სახით, სხვა უპირატესობებზეც გაამახვილეს ყურადღება: აღნიშნეს, რომ საარბიტრაჟო პროცესი კონფიდენციალურობის დაცვით გამოირჩევა, ნდობის ხარისხი უფრო მაღალია, ფინანსური დანახარჯები ნაკლებია და სასამართლოსთან შედარებით პრაქტიკულია. რამდენიმე რესპონდენტის აზრით, არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით უპირატესობა არ გააჩნია.

დიაგრამა #28

თქვენი აზრით, ბიზნეს დავების გადაწვეტის დროს, რა წარმოადგენს არბიტრაჟის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით? N=1255



მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ცხადყოფს, თუ რას მიიჩნევენ ცალკეული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები არბიტრაჟის უპირატესობად სასამართლოსთან შედარებით. კერძოდ, თითოეული ბიზნეს სექტორის რესპონდენტთათვის უპირველესი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა დავის პროცესის მოკლე დროში მოგვარება, დავის გადაწყვეტის პროცესის მშვიდ გარემოში მიმდინარეობა და ის, რომ საარბიტრაჟო პროცესი მხარეებზეა მორგებული. ამგვარი შეხედულების მქონე რესპონდენტთა წილი, თითოეული სექტორის შემთხვევაში, 22%-დან 34%-მდე მერყეობს. კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენელ რესპონდენტთა 28.5%-ის მიხედვით, მათთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დავის პროცესი არ ჭიანურდება და 11.5% კი არბიტრაჟის უპირატესობად მისი მოქნილობას ასახელებს **(„საარბიტრაჟო პროცესი მაქსიმალურად მხარეებზეა მორგებული“).** მომსახურების სექტორში მათი წილი, რომლებიც პროცესის მოკლე ვადაში დასრულებაზე ამახვილებენ ყურადღებას, აღემატება გამოკითხულთა მესამედს აღემატება, ხოლო 16.9% პროცესის მშვიდ გარემოში მიმდინარეობაზე მიუთითებს.

დიაგრამა #29

ბიზნეს დავების გადაწვეტის დროს, არბიტრაჟის უპირატესობა სასამართლოსთან შედარებით N=1255



არბიტრაჟის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

გარდა უპირატესობებისა, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ძირითად **ნაკლოვანებებზე**, რომლებიც არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით გააჩნია. კერძოდ, ასეთად გამოკითხულთა 28.2% ასახელებს იმას, რომ შეუძლებელია მიღებული შედეგის გასაჩივრება. 10.9% კი აღნიშნავს, რომ ნაკლებად შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრო დავის საბოლოო შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 39.8%-ს გაუჭირდა არბიტრაჟის ნაკლოვანებებზე საუბარი, რაც სავარაუდოდ, იმით არის გამოწვეული რომ გამოკითხულთა დიდ ნაწილს არ გააჩნია ამ პროცესით სარგებლობის გამოცდილება. რესპონდენტების მცირე ნაწილმა (2.1%), ღია პასუხში, არბიტრაჟის სხვა ნეგატიური მხარეებიც დაასახელეს. კერძოდ, ისინი მიუთითებენ არბიტრების არაკვალიფიციურობაზე და ნაკლებ ობიექტურობაზე, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩირვებისა და სასამართლოსთვის გადაცემის შემთხვევებზე, საარბიტრაჟო პროცესით მოგვარებადი დავების შეზღუდულ დიაპაზონზე და სხვ.

დიაგრამა #30

ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს არბიტრაჟის ნაკლოვანება სასამართლოსთან შედარებით N=1255



მომსახურების სექტორის წარმომადგენელთა უფრო დიდი ნაწილი არბიტრაჟის ნაკლოვანებად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია საარბიტრაჟო პროცესით მიღწეული შედეგის გასაჩივრება (30.5%). უარყოფით მხარედ ამ საკითხს ასახელებს პირველადი სექტორის წარმომადგენელთა 29.5%, მეორეული სექტორის რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი და ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში არსებული კომპანიების წარმომადგენელთა 26.8%. ასევე, მომსახურების სექტორის წარმომადგენელთა 11.7% და ბუნებრივი მონოპოლიების სექტორის რესპონდენტთა 13.4% უარყოფით ფაქტორად ასახელებს საბოლოო შედეგების პროგნოზირების ნაკლებ შესაძლებლობას. ამ უკანასკნელ საკითხს არბიტრაჟის ნაკლოვანებად მიიჩნევს მომსახურების სექტორის რესპონდენტთა 16.4%. მეორეული და პირველადი სექტორის შემთხვევაში დაახლოებით 10%-ია მათი წილი, რომლებიც მიუთითებენ არბიტრაჟის შესაძლო მიკერძოებულობაზე.

დიაგრამა #31

ბიზნეს დავების გადაწყვეტის დროს არბიტრაჟის ნაკლოვანება სასამართლოსთან შედარებით N=1255



პრიორიტეტების განაწილება არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 43% პირადად მათი კომპანიისთვის, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, ბიზნეს დავის მოსაგვარებლად, სასამართლოს არბიტრაჟს არჩევდა. ამათგან მხოლოდ 7.7% აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც აუცილებლად არჩევდნენ არბიტრაჟს (სასამართლოსთან შედარებით), 35.3% კი უფრო არჩევდა, ვიდრე არა. მეოთხედზე ნაკლებია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სასამართლოს არბიტრაჟს არ არჩევდნენ.

დიაგრამა #32

თქვენი კომპანიისთვის დავის მოსაგვარებლად არჩევდით თუ არა არბიტრაჟს სასამართლოს? N=1255



ბიზნეს დავის მოსაგვარებლად სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟისთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭებით გამოირჩევა მომსახურების სექტორი (49.6% - „უფრო ვარჩევდი“ და „აუცილებლად ვარჩევდი“). ჩამოთვლილ სექტორებს შორის მათი წილი, რომლებიც აუცილებლად არჩევდნენ არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით მეტია მომსახურების სექტორის წარმომადგენლებს შორის (12%), ხოლო შედარებით ნაკლები პირველადი სექტორის რესპონდენტების შემთხვევაში (5.8%). რაც შეეხება იმ რესპონდენტების წილს, რომლებიც უპირატესობას სასამართლოს ანიჭებენ, ყველაზე მეტია მეორეული სექტორის შემთხვევაში (30.1%), ხოლო - ყველაზე ნაკლები მომსახურების სფეროში არსებული კომპანიების შემთხვევაში (19.8%).

დიაგრამა #33

თქვენი კომპანიისთვის დავის მოსაგვარებლად არჩევდით თუ არა არბიტრაჟს სასამართლოს? N=1255



როგორც რესპონდენტთა 40.5% აღნიშნავს, იმისთვის, რომ მომავალში ბიზნეს დავის გადასაწყვეტად არჩევანი არბიტრაჟზე შეაჩერონ, მათ **მეტი ინფორმაცია სჭირდებათ** დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ინსტიტუტის შესახებ. 18.1% კი არჩევანს საკუთარ იურისტს მიანდობს და თვლის, რომ ამისთვის სწორედ იურისტის ინიციატივაა საჭირო. 11.5% საარბიტრაჟო ინსტიტუტების შესახებ მეტი ინფორმაციის საჭიროებაზე მიუთითებს.

დიაგრამა #34

რა დაგეხმარებოდათ, რომ მომავალში ბიზნეს დავის გადასაწყვეტად გამოიყენოთ არბიტრაჟი? N=1255



თითოეული ბიზნეს სექტორის შემთხვევაში, იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ბიზნეს დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟის გამოყენებისთვის საჭირო წინაპირობად არბიტრაჟის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებას თვლიან, 39%-ზე მეტია. პირველადი და მომსახურების სექტორის რესპონდენტებს შორის ასეთთა რაოდენობა 39.4%-ს უტოლდება (თითოეულ შემთხვევაში), ბუნებრივი მონოპოლიების წარმომადგენლებისთვის 42,8%-ია, ხოლო მეორეული სექტორის შემთხვევაში - 41.5%. იმ რესპონდენტების წილი რომლებიც არბიტრაჟის გამოყენებისთვის იურისტის ინიციატივას თვლიან მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, ყველაზე მაღალია ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში (22.3%), სხვა შემთხვევებში კი, 14%-20% შორის მერყეობს.

დიაგრამა #35

თქვენი კომპანიისთვის დავის მოსაგვარებლად არჩევდით თუ არა არბიტრაჟს სასამართლოს? N=1255



არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილება

მიმართვის გამოცდილება

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მათ კომპანიებს საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის მიმართვის გამოცდილება არ გააჩნიათ. არბიტრაჟში გამოცდილების მქონე პირთა რაოდენობა ძალზე მცირეა (1.9%).

დიაგრამა #36

განუხილავს თუ არა თქვენი ბიზნეს დავა საარბიტრაჟო ტრიბუნალს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში? N=1255



გაწეული სერვისით კმაყოფილება

რესპონდენტებმა, რომელთაც არბიტრაჟის გამოყენების გამოცდილება აქვთ, შეაფასეს ამ პროცესის მიმართ კმაყოფილება: არბიტრაჟის გამოყენების გამოცდილება აქვს 29 რესპონდენტს. ამათგან ნახევარზე მეტი (17 რესპონდენტი) კმაყოფილი დარჩა პროცესით (7 - ძალიან კმაყოფილი) უკმაყოფილო რესპონდენტების რაოდენობა კი 4-ს უტოლდება (3 - სრულიად უკმაყოფილო, 1 - უკმაყოფილო).

არბიტრაჟით კმაყოფილების ბიზნეს სექტორების ჭრილში განხილვამ აჩვენა, რომ პირველადი სექტორის წარმომადგენელთაგან მხოლოდ 1 რესპონდენტი საკუთარ კმაყოფილებას შეფასების უარყოფით ველში ათავსებს, ხოლო ყოველი მეორე რესპონდენტი (3) დადებითში. მეორეული სექტორის წარმომადგენელთაგან, ასევე, 1 რესპონდენტია სრულიად უკმაყოფილო არბიტრაჟის პროცესით, ხოლო 55.5% (5 რესპონდენტი) კი კმაყოფილებას გამოხატავს. მომსახურების სექტორში რესპონდენტთა დიდი ნაწილი კმაყოფილია (8 რესპონდენტი) მიღებული მომსახურებით, გამოკითხულთაგან 1 კი უკმაყოფილოა.

კომპანიების პროფილი

მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ გამოავლინა, რომ კვლევაში მონაწილე კომპანიების 23.5% სოფლის მეურნეობას, მეტყევეობასა და მეთევზეობას ეწევა. გამოკითხულთა 17.7% წარმოების სფეროში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები არიან. 15.4% კი, საბითუმო და საცალო ვაჭრობას ეწევა. 13.1% მშენებლობის სფეროშია დასაქმებული. გარდა ჩამოთვლილისა რესპონდენტების საქმიანობა ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა ელექტროენერგიის მიწოდება, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის უზრუნველყოფა, სამთო მრეწველობა და კარიერების დამუშავება და ა.შ.

დიაგრამა #37

რომელ სექტორში ეწევა თქვენი კომპანია ბიზნეს საქმიანობას? N=1255

გამოკითხული კომპანიების საქმიანობა ბიზნეს სექტორების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: **პირველად ბიზნეს სექტორში** მომუშავეთა 89.1% დასაქმებულია იმ კომპანიებში, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობას/მეტყევეობას/მეთევზეობას. რესპონდენტთა 10.9% კი, სამთო მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სფეროში საქმიანობს. **მეორეულ ბიზნეს სექტორში** მომუშავე კომპანიების 57.3% წარმოების სფეროშია, 42.7% კი, სამშენებლო საქმიანობას ეწევა. რაც შეეხება **მომსახურების სექტორს,** ამ უკანაკნელში განაწილებული კომპანიების საქმიანობის სფერო მრავალფეროვანია: ყოველ მეორე რესპონდენტთან დაკავშირებული კომპანია საბითუმო და საცალო ვაჭრობას ეწევა (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობას), 13.10% განსახლებისა და კვების ობიექტების მიწოდების სფეროშია, 9.1% კი ტრანსპორტირებასა დასაწყობებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება **ბუნებრივ მონოპოლიებს,** ამ სექტორში არსებული კომპანიების ძირითადი ნაწილი ორ სფეროში ნაწილდება: ა) 67.3% ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს; ბ) კომპანიების 32.7% კი წყალმომარაგებისა და კანალიზაციით უზრუნველყოფის საქმიანობას ეწევა.

ცხრილი #4

რომელ სექტორში ეწევა კომპანია საქმინობას? (ბიზნეს სექტორის ჭრილში) N1255	პირველადი სექტორი	მეორეული სექტორი	მომსახურების სექტორი	ბუნებრივი მონოპოლიები
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა	89.10%		0.30%	
სამთო მრეწველობა და კარიერების დამუშავება	10.90%			
წარმოება		57.30%	1.60%	
მშენებლობა		42.70%	1.00%	
საბითუმო და საცალო; ავტო-სატრანსპორტო საშუალებებისა და მოტოციკლების შეკეთება			50.40%	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა			3.40%	
განათლება			1.80%	
ინფორმაცია და კომუნიკაცია			3.10%	
ტრანსპორტირება და დასაწყობება			9.10%	
განსახლებისა და კვების ობიექტების მიწოდება			13.10%	
ხელოვნება, გართობა და დასვენება			2.90%	
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობა			2.90%	
ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქმიანობა			6.00%	
ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა			2.10%	
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა			2.10%	
ელექტროენერგიის მიწოდება			0.30%	67.30%
წყალმომარაგება; კანალიზაციის ნარჩენების მართვისა და დასუფთავების ღონისძიებები				32.70%

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 46%-ს კომპანიაში დამფუძნებლის პოზიცია უჭირავს; 15.2% - დირექტორია. რესპონდენტების მეოთხედზე მეტი კი თავად არის დამფუძნებელიც და დირექტორიც. რესპონდენტებს შორის, ასევე, იყვნენ კომპანიის მენეჯერები და რიგითი თანამშრომლები.

დიაგრამა #38

რა არის ამჟამად თქვენი პოზიცია/სტატუსი კომპანიაში/ საწარმოში? N=1255



მონაცემების ანალიზმა, ცენტრალური ტენდენციების მიხედვით, აჩვენა, რომ ოთხივე ბიზნეს სექტორში რესპონდენტების საქმიანობის ხანგრძლივობა საშუალოდ 10-დან 12 ლამდე მერყეობს.

ცხრილი #5

რამდენი წელია რაც ბიზნეს სექტორში ხართ დასაქმებული? N1255	პირველადი სექტორი	მეორეული სექტორი	მომსახურების სექტორი	ბუნებრივი მონოპოლიები
N	330	377	383	165
Mean	11.68	9.92	10.86	10.77
Std. Deviation	16.962	12.974	17.737	17.397
Median	7.00	6.00	5.00	6.00
Minimum	1	1	1	1
Maximum	99	99	99	99

გამოკითხულთა უმრავლესობამ (71%) აღნიშნა, რომ მათი ბიზნესის საკუთრების ფორმა ერთპიროვნულია, მხოლოდ 28%-მა აღნიშნა, რომ მათი ბიზნესი, როგორც საკუთრება სხვებთანაც ნაწილდება.

დიაგრამა #39

ერთპიროვნულია თუ არა თქვენი ბიზნესის საკუთრების ფორმა? N=1255



მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი ბიზნესის თანამფლობელებად ოჯახის წევრებს ასახელებს, ყოველი მესამე რესპონდენტი კი ამბობს, რომ ისინი მეგობრებთან ინაწილებენ ბიზნესს. რესპონდენტების 20%-ის შემთხვევაში ბიზნესის თანამფლობელები ძირითადად სხვადასხვა ადამიანები არიან (შერეულია). 10%-ს მცირედით აღემატება მათი რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ ბიზნესში ჩართული ადამიანები ძირითადად ოჯახის წევრები და მეგობრები არიან. მინიმალურია მათი წილი, რომლებიც ბიზნესის მეწილეებად ისეთ ადამიანებს ასახლებენ, ვისაც მანამდე არ იცნობდნენ. ჩამოთვლილის გარდა, ბიზნესის თანამფლობელებად ასახელებენ სააქციო საზოგადოებას, ზოგიერთის შემთხვევაში, კი მათი ბიზნესი სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშაა (კატეგორია „სხვა“-ს ქვეშ გაერთიანებული პასუხები).

დიაგრამა #40

ძირითადად ვინ არიან ბიზნესის თანამფლობელები? N=367



რესპონდენტების უმრავლესობა (53.4%) მათი კომპანიების სამართლებრივ ფორმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) ასახელებს. გამოკითხულთაგან თითქმის ყოველი მესამე კი ამბობს, რომ მათი კომპანია/საწარმო ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით ფუნქციონირებს. მცირეა მათი რაოდენობა, რომლებიც მიკრო მეწარმეობაზე, კოოპერატივზე და ა.შ. მიუთითებენ. გამოკითხულთა მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ კომპანიას იურიდიული პირის სტატუსი არ აქვს მინიჭებული. კომპანიის/საწარმოს სამართლებრივ ფორმად, გარდა ჩამოთვლილისა, დასახელდა ამხანაგობა, სააქციო საზოგადოება და სხვა.

დიაგრამა #41



პირველად ბიზნეს სექტორში ყველაზე მეტი რაოდენობით დაფიქსირდა შპს (46.1%) და ინდივიდუალური მეწარმე (31.6%). ძალზე მცირეა სააქციო საზოგადების სტატუსით/ფორმით და მიკრო მეწარმის სახით დარეგისტრირებული კომპანიების/საწარმოების წილი. გარდა ხსენებულისა, დანარჩენ სამ სექტორშიც მაღალია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დარეგისტრირებული კომპანიების/საწარმოების რაოდენობა. ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მქონეთა წილი 42.1%-ს უტოლდება მომსახურების სექტორში, ხოლო მეორეულ და ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში 30%-ზე ნაკლებია.

ცხრილი #6

კომპანიის/საწარმოს სამართლებრივი ფორმა ბიზნეს სექტორის ჭრილში N1255	პირველადი სექტორი	მეორეული სექტორი	მომსახურების სექტორი	ბუნებრივი მონოპოლიები
მიკრო მეწარმე	4.6%	8.1%	7.2%	8.6%
ინდივიდუალური მეწარმე	31.6%	25.0%	42.1%	27.0%
სააქციო საზოგადოება (სს)	0.3%	0.8%		3.1%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	46.1%	65.6%	49.6%	57.1%
კოოპერატივი	13.9%	0.3%		1.8%
არ არის იურიდიული პირი	3.1%	0.3%	0.5%	0.6%
მიჭირს პასუხის გაცემა/უარი პასუხზე	0.3%		0.5%	1.8%

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა (74.5%) აღნიშნავს, რომ მათ კომპანიაში შტატიან პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობა 10 პირამდეა. გამოკითხულთა თითქმის მეხუთედის შემთხვევაში კი, მათ კომპანიებში 10-დან 50 ადამიანამდე მუშაობს. საგრძნობლად მცირდება იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც კომპანიებში 50 თანამშრომელზე მეტის ყოლაზე მიუთითებენ.

დიაგრამა #42



კომპანიაში/საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობებს თუ ბიზნეს სექტორების ჭრილში განვიხილავთ, ვნახავთ რომ ოთხივე მათგანში თანამშრომლების რაოდენობა, უმეტესწილად, 10 ადამიანამდეა.

გარდა განხილული საკითხებისა, რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს მათი კომპანიების/საწარმოების **წლიური ბრუნვის** შესახებ. როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტების მეხუთედის შემთხვევაში მათი კომპანიების წლიური ბრუნვა მერყეობს 10 000-დან 50 000 ლარამდე. გამოკითხულთა 15.4% კი ამბობს, რომ მათი კომპანიის/საწარმოს წლიური ბრუნვა არ აღემატება 10 000 ლარს. 8%-12%-ს შორის ვარირებს ისეთთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ მათ კომპანიებს 50 000-დან 100 000-მდე აქვთ წლიური ბრუნვა.

დიაგრამა #43



სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ყოველი მეორე რესპონდენტის კომპანია/საწარმო **იურიდიულ მომსახურებას** საერთოდ არ იღებს. გამოკითხულთა მეხუთედი კი ამბობს, რომ ამ სერვისს მათ კერძო/დაქირავებული იურისტი აწოდებს. მხოლოდ 8.5%-მა აღნიშნა, რომ მათ კომპანიას საკუთარი იურისტი ჰყავს. იურიდიულ მომსახურებას იურიდიული კომპანიისგან გამოკითხულთა 7.2% იღებს. კვლევაში ჩართული კომპანიების/საწარმოების ნაწილს იურიდიულ მომსახურებას, გარდა ხსენებულისა, უწევს საგადასახადო სამსახური, ფინანსური მენეჯერი, ახლობელი იურისტი ან სხვ.

დიაგრამა #44

როგორ იღებს თქვენი კომპანია იურიდიულ მომსახურებას? N=1255



ბიზნესს სექტორების მიხედვით, იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც საერთოდ არ იღებენ იურიდიულ მომსახურებას ყველაზე მაღალია მომსახურების სექტორის (60.8%) და ყველაზე დაბალი - ბუნებრივი მონოპოლიების (39.6%) შემთხვევაში. ბუნებრივი მონოპოლიების სექტორში არსებული კომპანიების 12.2%-ს საკუთარი იურისტი ჰყავს, 17.7% კი კერძო/დაქირავებული პირისგან იღებს ამ მომსახურებას. რაც შეეხება მომსახურების სექტორს, მათ შემთხვევაში 16.6%-ს დაქირავებული იურისტი სთავაზობს იურიდიულ მომსახურებას. ასეთთა რაოდენობა მეორეულ სექტორში გამოკითხულთა თითქმის მეოთხედია, პირველად სექტორში კი მცირედით აღემატება რესპონდენტების მეხუთედს.

დიაგრამა #45

როგორ იღებს თქვენი კომპანია იურიდიულ მომსახურებას? N=1255



კვლევაში მონაწილე პირთა 38.1%-მა აღნიშნა, რომ მათ კომპანიაში ხელშეკრულებას თავად დირექტორი ადგენს, 24.4%-ი კი ამბობს, რომ ამ საქმეს კომპანიის ფინანსური მენეჯერი ითავსებს. რესპონდენტების მხოლოდ 12.4%-მა აღნიშნა, რომ მათ კომპანიებში ხელშეკრულებების შედგენა იურისტს ევალება. გამოკითხულთა 7.7% კომპანიაში/საწარმოში ხელშეკრულების შემდგენ პირებად ასახელებს ბიზნესის მფლობელს, ბუღალტერს, გამგეობის წევრებს, დამფუძნებლებს, ნოტარიუსს და სხვ.

დიაგრამა #46

ვინ ადგენს ხელშეკრულებებს თქვენს კომპანიაში? N=1255



ბიზნეს სექტორების ჭრილში კომპანიაში/საწარმოში ხელშეკრულების შემდგენი პირები შემდეგი სახით ნაწილდება: პირველადი სექტორის შემთხვევაში გამოკითხულთა 37.9%-მა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი დირექტორის მიერ დგება, 17.6%-ის თქმით კი, ეს საქმე ფინანსური მენეჯერის პრეროგატივაა. მეორეულ სექტორში იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ხსენებული დოკუმენტის შედგენას დირექტორის საქმედ განსაზღვრავენ 38.5%-ია; 29.% კი ამბობს, რომ კომპანიის/საწარმოს ფინანსური მენეჯერი ითავსებს ამ საქმეს. ბუნებრივი მონოპოლიების და მომსახურების სექტორის შემთხვევაშიც იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ხელშეკრულების შედგენას ზემოთ ხსენებული ორი პირის საქმიანობას მიაწერენ მნიშვნელოვნად აღემატება მათ წილს, რომლებიც ამბობენ რომ ამ დოკუმენტს იურისტი ან სხვა პირები ადგენენ.

დიაგრამა #47

ვინ ადგენს ხელშეკრულებას თქვენს კომპანიაში? N=1255



კვლევის შედეგების მიხედვით, კომპანიაში/საწარმოში დავის წარმოშობის შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის განმსაზღვრელ პირებად უმეტესად დამფუძნებელი (36%), დირექტორი (23.8%) და იურისტი (16%) სახელდებიან. გარდა ჩამოთვლილისა, რესპონდენტების გარკვეული ნაწილი მსგავსი ტიპის პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულ პირად ასახელებს ფინანსურ მენეჯერს და სხვა პირებს.

დიაგრამა #48

ვინ განსაზღვრავს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას კომპანიაში დავის წარმოშობისას? N=1255



ბიზნეს სექტორების მიხედვით, კომპანიაში დავის წარმოქმნის შემთხვევაში მისი გადაჭრის სტრატეგიის განმსაზღვრელ პირად გამოკითხულთა დიდი ნაწილი დამფუძნებელს ასახელებს მომსახურების სექტორში (41.8%). ამავე სექტორის წარმომადგენელ რესპონდენტთა 25.8% კი ამბობს, რომ მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილებებს დირექტორი იღებს. ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაში, გამოკითხულთა 15.1% ამბობს, რომ ამ ფუნქციას იურისტი ასრულებს. მათი რაოდენობა, რომლებიც დავის გადაწყვეტის სტრატეგიის განსაზღვრისას ძირითად აქტორად იურისტს ასახელებენ გამოკითხულთა მეხუთედს აღემატება მეორეულ სექტორში.

დიაგრამა #49

ვინ განსაზღვრავს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას კომპანიაში დავის წარმოშობისას? N=1255



რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (87%) აღნიშნავს, რომ მათი კომპანია არც ერთი ბიზნეს ასოციაციის წევრი არ არის, თუმცა, გამოკითხულთა მცირე ნაწილი ასახელებს ისეთ ასოციაციებს, როგორებიცაა: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი და სხვა.

დიაგრამა #50

რომელი ბიზნეს ასოციაციის წევრია თქვენი კომპანია? N=1255